

820

ჯარის ნაწილებს უფასოდ ვაგაზნავათ.

8 აგვისტო, 1920 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხედარი


ფა. 10 მან.

№ 10


ორგანო საგვ. სამინ. კულტ. - განათლ. საქმისა.

№ 10

545-7



სამხედრო მინისტრის ამხანაგი გენერალი რდიშელიძე, საზღვარ გარეთ გამგზავრებულ მისიის წევრი, რომელიც დაბრუნდა ტფილისში.



იასონ მერაბის-ძე ლორთქიფანიძე, სახელმწიფო ბანკის გამგე

ტფილისი, 8 აგვისტო.


პრობა და ჯარი „ქმნა მართლისა სამართლისა ხე-სა შეიქმნს ხმელსა ნელლად“ — სა-მათლიანობაზე უნდა იყოს დამყარებული ყოველი ნაბიჯი ადამიანის კერძო თუ საზოგადო ცხოვრებაში. საქართველოს ცხოვრების ფერმიხდილი გამხმარი ხე ამ ორის წლის სამართლიანმა ცხოვრებამ გამოაცოცხლა, ახალი ყლორტები აუფურჩნა, გააჯანსაღა.

მთელი ყურადღება მთავრობისა შინაურ თუ საგარეო ცხოვრების გეზისა მიმართულია სამართლისა და სამართლიანობის გამტკიცებისაკენ. გარეშე სახელმწიფოებთან სამართლიანობის დასამყარებლად მთავრობის ხელთ არის დიპლომატია, მშვიდობიანი მოლაპარაკება და უკიდურეს შემთხვევაში რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა — ჯარი და სახალხო გვარდია:

სადაც მართალი სიტყვა არ გადის, იქ ხმალი სწყვეტს სამართალს! ასეთია საერთაშორისო დამოკიდებულება, მაგრამ სამართლიანობის დაცვა გვმართებს შინაურ დამოკიდებულებაშიაც. როგორც ყოველი მოქალაქე, ისე ყოველი ჯარისკაცი თუ გვარდიელი ერთს წამსაც არ უნდა განიცდიდეს რაიმე უსამართლობას პირადათ თვითონ ან მის ოჯახში.

მთავრობამ ბრძანება გასცა, რათა ერობებს ეზრუნათ ჯარის კაცთა და გვარდიელთა უკაცურ ოჯახებზე, დასათვისი დაეთესათ მათთვის, — გასათოხნი გაეთოხნათ, სამკალი მოემკათ — საღეწი გაეღეწათ. ასეთი დავალება სრულს სამართლიანობაზეა დამყარებული: ომში მყოფ ვაჟკაცის გული და თვალი ოჯახისაკენ არ უნდა იქტირებოდეს, მისი გასაქირი არ უნდა ანაღვლებდეს.

ჩვენი ჯარი და გვარდია ყველგან პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას რესპუბლიკის წინაშე,



იგი თავგანწირვით ებრძვის შინაურსა თუ გარეშე მტერს და იმარჯვებს კიდევ, რადგანაც სამართლიან საქმეს თავგამოდებით ემსახურება.

ჩვენ, ზურგში მყოფნი პირნათლად ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას ფრონტის მიმართ?

სამწუხაროდ და ჩვენდა სამარცხენოთ, არა! ჯერ ყველგან არ შესულა შეგნება ჯარისა და გვარდიის წინაშე ჩვენი მოვალეობასა, ჯერ ყველას არ შეუგნია რომ სამართლიანობა, თანასწორად მოპყრობა ყველასთან აუცილებელია. ამისი მაგალითები, ალბათ ბევრი უნდა იყოს, რადგანაც ჩვენი მორიდებული და მოხატრებული ჯარის კაცები უკვე გვაწვდიან ცნობებს ასეთი უსამართლო მოპყრობისას მათი ოჯახების მიმართ დანხარების საქმეში. ზოგიერთ ერობას დეზერტირის ოჯახისათვისაც კი გაუწევია დაქმარება, ხოლო ნამდვილი მეომარის ოჯახი დაუჩაგრავს.

უსამართლობა დიდი თუ პატარა, მაინც უსამართლობაა და ასეთი საქციელი არ ებატება მით უმეტეს, ერობას რომელიც ადგილობრივ განმანხორციელებელია მთავრობის ნების ყოფისა.

საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ჩვენი ჟურნალის დღევანდელ ნომერში მოთავსებულ ჯ.კაცის წერილს, „ერობის საყურადღებოდ“ სადაც ჩამოთვლილია, ყოვლად შეუწყნარებელი საქმენი სხვა და სხვა ერობათა.

საუბარი ჯარის კაცთან.

ხშირათ ვაგიგონიათ უთუოთ, ხალხს უნდა ვემსახურობოდეთო.

რატომ მაინცა და მაინც ხალხს უნდა ვემსახუროთ?

იმიტომ რომ ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხია. მართალია ძველი მთავრობის დროს ხალხს წაართვეს ეს უფლება და მდიდრებმა და თავადებმა ქვეყანაც დაიმონავეს და ხალხიც.

მაგრამ დღეს ხალხმა თავისუფლება მოიპოვა, მოსპო მდიდრებისა და თავადების ბატონობა და თვითონ გაბატონდა.

ამიტომ ყველა, ვისაც კი ჯანი შესწევს და ღონე მოსდევს, ხალხს უნდა ემსახუროს.

ხალხის სამსახური ამავე დროს საკუთარი თავის სამსახურიც არის.

ყველი ჩვენგანი წევრია, შვილია ხალხისა, თუ კი ხალხი ბედნიერია, ჩვენც ბედნიერი ვართ.

თუ კი ხალხი მაძლარია, ჩვენც მაძლარი ვართ. თუ რომ ხალხი განათლებულია, ჩვენც განათლებული ვართ.

რაც კი ხალხს ექნება, ის ჩვენიც არის, ჩვენც მოვიხმართ და გამოვიყენებთ.

ამიტომ არც ერთი ~~სამსახური~~ არის ისე საპატიო, როგორც ხალხის ~~სამსახური~~ ვინ ემსახურება ხალხს?

ჯარის კაცი.

ამიტომ ჯარის კაცობა დღეს ჩვენში მეტათ საპატიო სამსახურია.

ჩვენი ჯარის კაცი ამაყათ და თავმომწონეთ უნდა ამბობდეს:

— მე საქართველოს ხალხის მოსამსახურე ვარო.

საქართველოს ხალხს აქვს საკუთარი მიწა-წყალი, საკუთარი სამშობლო.

ეს არის ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა. ჩვენი ხალხის მოსამსახურე იმავე დროს ჩვენი რესპუბლიკის მოსამსახურეც არის.

ამიტომ ჩვენი ჯარის კაცი ამაყათ უნდა ამბობდეს.

— მე დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარის კაცი ვარო.

რა რწმენისაც უნდა იყოს ადამიანი, ერთი რამ ყველასათვის სავალდებულოა:

სამშობლოს სიყვარული.

დღეს ჩვენი სამშობლო არ არის ერთი რომელიმე წოდებისა, როგორც ძველათ.

ის არის სამშობლო მშრომელი ხალხისა.

ამიტომაც ჩვენი სამშობლო განსაკუთრებული სიყვარულის ღირსია.

სიყვარული ამავე დროს გვავალებს ერთგულეზს.

ვისაც თვისი სამშობლო უყვარს, ის მისი ერთგულიც უნდა იყოს.

ერთგულება კი გვავალებს თავგანწირვას.

ყოველი ჩვენგანი მზათ უნდა იყოს, სამშობლოსათვის თავი გასწიროს, როდესაც კი ეს საჭირო გახდება.

სამშობლოს სიყვარულის, ერთგულებისა და თავგანწირვის დროშა ჩვენს ჯარის კაცს უჭირავს ხელში, მართალი უნდა ვთქვა—ღირსეულათ უჭირავს.

ამიტომ არის, რომ მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებისა, ხიფათისა, მტრობისა და თავდასხმისა, ჩვენი სამშობლო დღითი-დღე მაგრდება, იზრდება და სახელს იხვეჭს.

ღირსეულ სამშობლოს ღირსეული ჯარის კაცი ჰყავს.

მაგრამ მტერი ცდილობს, ჩვენს ჯარის კაცს ხელიდან გამოჰგლიჯოს ეს დროშა და ნაცვლათ მისცეს მეორე, რომელზედაც სამშობლოსი დალატი და გაყიდვა აწერია.

მტერი ცდილობს, რომ ჩვენი ჯარის კაცი იუდათ გადააქციოს.

ეს მტერია—ჩვენი კომუნისტები.

რა უნდათ ჩვენებურ კომუნისტებს?

რუსეთის ჯარების შემოყვანა ჩვენს ქვეყანაში.



ბიანობის დროს კი საუკეთესო მეგობარი—ამხანაგები ერთმანეთ-შორის.

1918 წლ. მარტის დღეებში ცხინვალის გამოსვლები, აწყურის ამავე წლის ტრაგედიაში, როდესაც კალიასავით შემოესია ასკერთა ბრბოები და ბორჯომის ხეობით-მონაპოვარ უფლებებ ემუქრებოდნენ განადგურებით—ამ დროს წინ აღუდგა მათ ბორჯომის სახ. გვარ. ამხ. ვასილის მეთაურობით..... ასეთ ყოფაში ბევრ ხანს იყო ამხ. ვასილი, ის ერთ წუთსაც არ ისვენებდა—დაყოვნებაც არ შეიძლებოდა. ...

სომხეთის „დაშნაკელთა“ მთავრობის ვერაჯულ თავდასხმის დროს, ბორჯომის სახ. გვ. ამხ. ვასილის მეთაურობით მოქმედება.

ის ამ დროს გუნდის უფროსათ ითვლებოდა.

თავი ისახელა იშვიათი ბრძოლის წარმოებისას და ამის გამოთ ბევრი გვარდიელი გიორგის ჯვრებით იქმნა დაჯილდოვებული, ხოლო მთელ რატას ნება დართეს მამაცობისათვის გიორგის ლენტით დროშის ტარებისა—თვით ხელმძღვანელი კი ასეთი ოპერაციებისათვის ამხ. ვასილი წარდგენილი იყო უმაღლეს ხარისხის წარმატებაზე გიორგის ჯვრის მიცემით. —ყოველივე ეს მოხდა ახალქალაქის მაზრაში გენ. ბ. მაყაშვილის მეთაურობით.....

გენ. ბალო მაყაშვილი განცვიფრებაში მოჰყავდა თავის გამირობით და გაბედული ნაბიჯებით ამხ. ვასილს ის—ის იყო უნდა დაესვენა, მაგრამ მას კვლავ მოუხდა ბრძოლაში მონაწილეობის მიღება. 31 იანვარს 1919 წელსა ახალციხე-ახალქალაქის მაზრა ერთის დაკრით აიღო მტრებმა სექტეზ-ბეგის მოსყიდულმა აგენტებმა, ამ საშინელი სურათის დროს, როდესაც ჯარები გამობოდნენ სამარცხვინოდ ჩვენდა—ამხ. ვასილი თავისი მცირედი რიცხვით ბორჯომელი სახ. გვარდიელებით თავის პოსტებზე იდგა აწყურის პოზიციებზე—სლერის ციხესთან და არ აძლევდა მტრებს აგრესიულ ნაბიჯების მიზნების განხორციელების საშუალებას.....

ყველამ მიატოვა ეს ორი დიდი მაზრა—ავტომობილს ჯარი წინ უსწრებდა, მაგრამ ამხ. ვასილი შეგნებული მოვალეობის ასრულებაში თავის აღაგას არ მოშორებია და რაინდულათ, ამაყად სდარაჯობდა სტრატეგიულ ადგილს ...

და აკი კიდევაც ამ პოზიციების შენარჩუნებამ დიდათ ხელი შეუწყო ჩვენი ოპერაციების წინსვლას გენ. კვინიტაძის ხელმძღვანელობის დროს.....

გაგრის ფრონტზედაც საყვარელი ამხანაგ—გვარდიელებით ზაფხულ—შემოდგომაზე სდარაჯობდა ის დენიკინის შემოსევისაგან ჩვენ თავისუფლების სავანე საქართველოს და მის დემოკრატიის იშვიათ მონაპოვართ.

დენიკინის ფრონტს ყველაზე მალა აყენებდა, წასვლის წინ ამხანაგებს გვეუბნებოდა: „თუ ამ ფრონტზე დავეცე იცოდეთ ბედნიერი ვიქნები,

რადგანაც აქ რევოლუციის მტერს ვებრძვი“ თო...

ბიულოტიკა

გაიარა ამ დღეებმა და ის გაგრძიდან მშვიდობიანათ დაბრუნდა...

ნოემბერ-დეკემბრის „ბალშევიკურ“ გამოსვლების დროს მაზრაში იშვიათ მონაწილეობას დებულბს—და როკის მალლობებზე ის პირველი შეიქრა... ყველა აღტაცებაში მოჰყავს—თავის სიმამაცით.....

ამის შემდეგ ის ჩვენ ბათალიონის უფროსად გინდოდა მოგვეწვია, მისთვის ჩაგვებარებინა ასეთი რთული, დიდი საქმე, მაგრამ ამხანაგების მეოხებით ის ახალციხის სახ. გვ. ბათალ. უფროსად დაინიშნა.....

სიამოვნებით მიიღო მცნ ეს დიდი პოსტი, პოსტი დამსახურებული სინდისიერი მუშაობით, პატიოსნურად და თან დასძინა, არ მინდოდა აწიომები, მინდოდა დროებით დედ-მამისთვის ყური მეგლო მაგრამ, რადგანაც მტრები არ გვასვენებენ და გვემუქრებიან და ისიც ბათომის ოლქის საკითხზეა დავა, მე ყოველივეს ვივიწყებ დროებით მოვდივარ და ვეცდები უჰანასკნელათ არა, მაგრამ ჯერ დასვენებას არ ღირსებული ამ ოპერაციებშიაც მივიღო მონაწილეობა, ჩემი წვლილი შევიტანოო.....

წავიდა კვლავინდებურად ვაჟაკურად, გამირულად, ამაყად—დემოკრატიის გამირი—მოსვენებას მოკლებული ყოველივეს ივიწყებს წუთით და ისტორიულ მისიის მოვალეობის ასასრულებლათ გაემგზავრა

მას სჯეროდა, რომ ეს დღეები დიადია, ისტორიულია, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, როგორც მის პირადული, ისე საქართველოს დემოკრატიის ცხოვრებაში და დღე და ღამ მუშაობას ეწეოდა.....

ამხნევებდა, აცინებდა, აგონებდა და უხსნიდა ამ დიდებული დღეების მნიშვნელობას ამხანაგებს. —მათ იცოდნენ, მაგრამ ამხ. ვასილი მოუთმენელი იყო ასეთი განცდათა ეაშს და თავის აღფრთოვანების წუთებს სხვებსაც უზიარებდა, ის დემოკრატიის ბედნიერებით ზეიმობდა და მისი მწარე წუთებით კვნესოდა....

იშვიათი—ისტორიული პიროვნება იყო და მის მუშაობაში გაცნობილი ამხანაგები, საშინლად დაობლებულად ვგრძნობთ ჩვენს თავს.....

აღრე გაგვაშორეს ერთმანეთს, ჯერ ბევრი გვაქვს საკეთებელი..... მაგრამ მას მოვალეობის პოსტმა აღრე გამოსტაცა სიცოცხლე... ვგლოვობთ უღროოდ დაკარგვას...

ხოლო ვამაყობთ მისი გამირული სიკვდილით. დემოკრატიას ლაჩრობა არ შეშვენის. საუკუნოდ იყოს შენი ხსენება.. ამხანაგო... საქართველოს დემოკრატია არ დაგივიწყებს.

შენი ლიმა.

ერობების საყურადღებოდ.

ჯარის კაცის წერილი.

პირველ ცხენოსანთა სამი ესკადრონი ვიმყოფებით ს. სადახლოში. ჯარში განწყობილება ძალიან კარგია, თუმცა რამოდენიმე ალავას ნივთიერი დახმარება გვაკლია და დიდ გაჭირვებულ მდგომარეობაში ვიმყოფებით.

მე ჩემის პატარა წერილით, მსურს გავაცნო, იმ დაწესებულებებს, რომლებსაც თავისი ცოტა შრომით შეუძლიათ დააკმაყოფილონ ის ნაწილები, რომლებიც ქვემოლ ჩემგნით მოთხრობილიდან აღმოჩნდება.

მე ძან მაოცებს, რომ ერთი ნაწილი მეორედან არ უნდა განირჩეოდეს, თუმც იგი უმცირესობასაც შეიცავდეს, მაგრამ, ჩვენ ამას მაინც ვერ ავცდენივართ. ჯერ იყო და, ვიყავით გაგრის ფრონტზე, ძან მწყურვალე და მონატრული ჟურნალ-გაზეთებისა, მაგრამ, მიზეზი ის იყო: ქორაზზე დაგვიანდა, გზა არი წანხდარი, და სხ. გველირსა გამოვედით იქიდან, და გაგვწერეს „წითელ ადგილებიჯანის“ ფრონტზე. ჩვენ სიხარულს საზღვარი არ ქონდა, მაგრამ ცოტას აქაც წვევიკოქლებთ უყურნალ-გაზეთებოდ, ვთხოვეთ ახალი თუ არა ძველი მაინც გამოგვიგზავნოთ.

მეორე ის არის რომ, სახლიდან გამოგზავნილი წერილები ბევრი იკარგება. ნამეტურ თუ იგი „დაზღვეულია“. საქმე შემდეგშია: საფოსტო განყოფილება არის ალავერდში დაშორებული სადგ. სადახლოზე რამოდენიმე ვერსით, წერილები დაზღვეული მიდიან იქ და იქავე განისვენებენ საუკუნოთ! (შემიძლია დასამტკიცებელი საბუთიც გიჩვენოთ).

ამას გარდა არ შემიძლია, რომ გულგრილათ შევხედო შემდეგს: თანახმად მთავრობის დადგენილებისა, იმ სათადარიგო ჯარის კაცებისა, რომლებიც არიან გამოწვეული მობილიზაციით სამსახურში და კიდევაც მსახურებენ დღეს, და მიტოვებული ჰყავთ ცოლ-შვილი ღვთის ანაბარა; მთავრობის ბრძანებით, ერობებს უნდა აღმოეჩინა მათთვის დაახლოვებითი დახმარება, როგორც არის მაგალითად: სახლში არავინ დარჩენია მუშა ხელი, და მარტო დედაკაცებს კი ფიზიკურათ არ შეუძლია მინდვრის დამუშავება, ერობა ვალდებულია მიიღოს ენერგიული ზომები. ზურგში მდგომ მუშა ხელით მათ დახმარება გაუწიოს, მაგრამ ზოგიერთ ადგილებში ეს არ სრულდება.

ყველა მოქალაქე და ის დაწესებულებები, როგორც არის მაგალითად: ერობა, კომისარიატი და მათში ყველა მსახური ვალდებულია მთავრობის კატეგორიული ბრძანება მოიყვანოს სისრულეში, ზედმეტი ენერგია დახარჯონ, და საწყალი კაცების დაჩაგვრას არ ჰქონდეს ადგილი.

ამისათვის მე მინდა აღვნიშნო ჟურნალ-გაზეთების საშუალებით ის, რაც გათმომეს მე — ორი კვირის გაშვების მერმეთ დაბრუნებული სათადარიგო ჯარის კაცებმა, და კიდევაც მოჰყავს მათი სახელი, გვარი და ვწერ ნამდვილ მათ ნაამბობს:

მხედარი გიორგი ედილაშვილი მცხოვრები სოფელ ბრეთში გორის მაზრაში დირბის საზოგადოების ერობის წარმომადგენელი **გოლა ხუციშვილი**, როდესაც მისულა ზემოხსენებული ედილაშვილი ხუციშვილთან, და უკითხავს — რატომ არ მიიღე ცოტა მაინც ზომები ყანების დამუშავებისა — მას არაფელი ზომები არ მიუღია დახმარებისა — უკანასკნელათ ვკითხე მას, მოეცა მოწმობა რომ ყანები წამიხდა დაუმუშავებელი და მე მიმემართა უფროსისათვის რაიმე ზომების მოცემისთვის, რომ ცოლ-შვილი არ დამრჩენოდა მშვიერ-მწყურვალე. იმისგან კი მივიღე ცივი პასუხი, — მოწმობა მიტომ მოგცე რო მთავრობასთან მიჩვილო? არას დროსაც! არა! მხედარი ედილაშვილი ირწმუნება, რომ მისი მოკეთისთვის და კარგი მეგობრისათვის ყანები დაუმუშავებია მე კი ე. ი. ედილაშვილს სახლში მუშა ხელი არა მყავს მხოლოდ დედაკაცების მეტი. მატერიალური დახმარება კი იმ უბანში არაფელი ყოფილა. მე დარწმუნებული ვარ, რომ რამოდენიმე ადგილებზე კი მიეცათ, პურის ფქვილი, შაქარი და სხვა.

ჩვენ ერთ მთავრობას ვემორჩილებით, ვგონებ, გაჩევე არ უნდა იყოს.

და სხვებმაც ასეთი შინაარსით გადმომცეს ყველა იმ მაზრიდან დაბრუნებულებმა და მიტომ სახელ და გვარს ვწერ.

ნესტორ კვიციანიძე სოფ. ბავის უბანი ქუთაისის მაზრა. ერობის თავმჯდომარე **რევიშვილი**, მასაც სრულებით არ შესტკიცნია გული უბატრონო ეზო-გარემოზე, რომელიც დაუმუშავებელი უოხრდებოდა და მისი პატრონი კი ბრძოლის ველზე ჩვენს საქართველოს საზღვრებს იცავდა.

უმთავრესი საკითხი, რომელიც შეიცავს დღევანდელ მომენტში ე. ი. პური და შაქარი, წუმწუშა თუ ნაფთი იმისი დარიგებაც უწყსოდ სწარმოებს ამ მაზრაში. ავიღოთ მაგალითად, პურის ფქვილი, ისიც ნორმალურათ არ არის დარიგებული. დაურიგეს იმ პირსაც, რომლებსაც არ ეკუთვნოდა, მაგ. როგორც არი, დეზერტირის პატრონები, ან და რომელიც ყიდის და არ ყიდულობი მდიდარია თუ ღარიბი და მე მაგალითად სახლი მარტო მაქ მიტოვებული და არც არაფელი გამაჩნია, არც ადგილი და არც მამული, თუ მაქ ისიც იჯარით აღებული, მარტო დასამუშავებლათ. ჩემთვის მოუციათ მხოლოდ ათი გირვანქა პურის ფქვილი და ზოგისთვის კი მეტი როგორც გავს, აქაც ნაცნობობას ჰქონია ადგილი.

მაისურაძე დიმიტრი მცხოვრები სოფელ წერაქვი ბორჩალოს მაზრა. ამ მაისურაძემაც თითქმის ის განაცხადა რაც ზემოთ არის ნათქვამი,

მხოლოდ საყურადღებო ის არის, რომ ამ უკანასკნელს ჰყოლებია ოჯახში შვიდი სული სარჩენი, მათში ერთი მოხუცებული მამა დაახლოვებით 80 წლისა და არაფელი საშუალება არ ჰქონია აღმოჩენილი ყანების დასამუშავებლათ.

კანდელაკი სანდრო, სოფელ ნიჩბისიდან გორის მაზრა. ზემოხსენებულმა კანდელაკმაც თითქმის ის განცხადება შემოიტანა რაც მხედარმა ედილაშვილმა, რომ ის ყოფილა მოკლებული ყოველიფერს დახმარებას, მანვე წარმოადგინა დამამტკიცებელი საბუთიც, რომ მას არავინ ჰყოლია სახლში მუშა დატოვებული, წვრილი ცოლშვილის მეტი, ყველაფერი მოსავალი ელუპება, მუშა ხელის უქონლობით და დახმარებას თხოულობს, რომ იმის ყურადღება მიექცეს ვისიც ჯერ არს, რომ მშვიერ-მწყურვალნი არ დარჩეს მისი ცოლშვილი, რომელიც სათაღარიგო პირნი სამხედრო საშახურს ეწვევიან.

ბორჩალოს მაზრა.

მოსავალს ძალიან პირი უჩანს. ქერები თითქმის გაილეწა, მხოლოდ ჯერი მიდგა პურზე. 13 მკათათვეს არა სასიამოვნო ამინდი დატრიალდა დაუშვა კოკის პირული წვიმა, სასტიკი ქვენა ქრის ძალით. რამაც დაულვაშებული სიმინდები სრულეზით დალეწა, პური მიწაზე დააგო, კიტრი, ნესვი თუ საზამთრო მთლათ ძირიანათ გადათხარა. დღევანდლამდი კიტრი ძაან იაფი იყო, ეხლა ასი ლირს 50 მან.

აქაური ჰავა ძალიან გლახაა. ჯარის კაცებში მძვინვარებს ციებ-ცხელება და მალერია, ავთამყოფების რიცხვი ძალიან ბევრია. ეს ავთამყოფობა გამოიწვია ბევრი კიტრის ჰამამ, რასაც ზედ აყოლებენ ჰაობის წყალს. სამკურნალო დახმარება ნაკლებია. ავადმყოფობა თანდათან მრავლდება.

პირველი ესკად. ზემდ. დ. **ქანკოტაძე.**

თავისუფლების სამსახურკლოჯა.

ბევრი სტანჯა მტარვალმა ტურფა ასული.

ხან ჯურღუმლში ჩააგდო, ხან შანთებით დაუდალა მგზნებარე მკერდი, მაგრამ გულის ამოგლეჯა კი ვერას გზით ვერ მოახერხა.

შუბლზე ეკლის გვირგვინი დაადგა; სისხლი წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდა და თოვლივით თეთრ სამოსელს ალის ფრათ უღებავდა.

მტარვალს უნდოდა მგზნებარე ასულისაგან მონა შეექმნა.

უნდოდა მხეველათ გახლომოდო იგი.

მაგრამ ანგარიში შეესცდა, ვერავითარმა უხეშმა ძალამ ვერ შესძლო მისი გარდაქმნა.

„ტურფავ! დაივიწყე ყველა და ყველაფერი, მხოლოდ მე გახსოვდე... სამხედროდ წყნ დედოფალი შეიქმნები სამყაროში, უღალბო შენ შეილთ და მის მაგიერ შენს წინაშე ძლიერნი ამა ქვეყნისანი მოიყრიან მუხლთ“,—მიმართა მტარვალმა, მაგრამ ვერც თაფლ ნარევი სიტყვებით შეუტვალა მას გული.

„მაწამე, მტარვალო! დალატს კი ნუ გამაგონებ — მშვიდად მიუგო ასულმა.

მტარვალი გაცოფდა, გაგიჟდა!..

„მაშ, შენ არ მოგწონს ჩემი დაპირებანი?— მან, ჰეი, მონებო, აწამეთ და სტანჯეთ, ვიდრე მუხლ მოყრილმა ჩემს წინაშე შენანება არ ითხოვოს“.

მონებმა უსასტიკეს წამებას მისცეს ასული.

მიდიოდნენ დღენი, ასულს მაინც იმედით აღვსილი ჰქონდა გული; მხსნელებს მოელოდა და მტარვალს ქედს არ უხრიდა.

დალაშდა. ატყდა ქარიშხალი, გავარდა მეხი, იგრიალა სამყარომ.

გაოფლიანებული, გარუჯული მუშა ერთის მხრივ მიადგა უროთი ხელში ციხის კედლებს, სადაც მტარვალს ასული ჰყავდა გამომწყვდეული და ახალგაზრდა, ჯანღონით საგსე მეომარი იარაღით ხელში მეორეს მხრივ, რომელთაც ამ გრიალში ციხის კედლებს ნგრევა დაუწყეს.

გამოიღარა... ქარიშხალმაც გადაიარა...

ძირს გამრთხალმა მტარვალმა წამოსწია დასუსტებული და დაჭრილი თავი, ხელი მკერდზე მიიღო ჭრილობიდან სისხლის შესაჩერებლად, ცის ტატნობს შეხედა, დაბმღუველა და სული განუტევა.

იქ, მთის წვერზე, განთიადის სნივები გამარჯვებას ულოცავდნენ ასულს, რომელიც ვარდის გვირგვინით იდგა თეთრ სამოსელში და მზესავითა ბრწყინავდა.

მის წინ კი მუშასა და მხედარს ძარღვიანი მამაცი ხელი მიეცათ ერთმანეთისათვის და თავისუფლების სამსხვერპლოზე ერთმანეთს ერთგულების ფიცს აძლევდნენ.

სამხედრო სკოლის ჯ. კ. ალ. იასალაშვილი.

მართლბა, ჩვენზე უფრო გიყვარს თავისუფლება?

(მოგონება.)

—სმენა!—გაისმა მორიგის ხმა ყაზარმაში, სადაც ჩვენ ავერ ერთი საათი იყო თითქმის რაც წყობილებაში ვიდექით და ამოკითხვისთვის ზემდეგის მოსვლას ველოდით. ყველა ამ ხმაზე გასწორდა და ყაზარმაშიც სრული სიჩუმე ჩაჰოვარდა.



— შენ რათ გაანძრე თავი? — შეპყვირა შემოსვლის თანავე ზემდეგმა, რომელსაც გრძელი ძველი ხმალი ჩამოეკიდა და ამაყად იცქირებოდა აქეთ იქეთ.

— საფრენკო, ორ საათს თოფ-ქვეშ დააყენებ მაგ უწყალო მკაცრს — უთხრა მან მწყობრის თავს და ერთი თავისებურათაც შეუკურთხა.

მაკარენკო (ეს ჩვენი ზემდეგის გვარი იყო) თორმეტი წელი ზედმეტ მსახურათ იყო ჩარიცხული და მიუხედავად ამდენი სამსახურისა მას მაინც არ უნდოდა თავი დაენებებია სამსახურისთვის, ის ნეტარებას გრძნობდა მაშინ, როცა მოეღ გუნდს უბრძანებდა და როგორც უნდოდა ისე ათამაშებდა. ძრიელ უყვარდა ისეთი ჯარის კაცი, რომელიც მუდამ გამოეჭიმებოდა ჩესტით ან ვინც უფრო მეტ პატივს სცემდა. გარდა ამისა ერთი უცნაური ზნეც სჭირდა; როცა ამოკითხვა გათავდებოდა და ლოცვას წაიკითხავდნენ მერმე ის მოყვებოდა და მუდამ ჩვენს გინებასა და ლანძღვაში იყო.

— თქვენ ხომ ჯარის კაცები არა ხართ. თქვენ ხომ ქუჩის დედაკაცები ხართ, — და ასე მუდამ და ყოველ საღამოს ამოკითხვის შემდეგ ამავე სიტყვებს თუ არ ვცდები ათათჯერ იტყოდა. მას მეტი სალაპარაკო არაფერი ქონდა, ეშმაკმა იცის რად გვღიანძღვდა ასე, მაგრამ აბა ვინ დასძრავდა კრინტს? ამ საღამოს ის რაღაც უფრო მხიარული იყო და რაღაც არაჩვეულებრივი სიტყვაც კი სთქვა, რომელმაც ისე გაგვახარა ვითომც ყველასთვის სახში დათხოვნა გაცხადებოდა. მას ხელში რაღაც ქალღმერთი ეჭირა, ჩვენ ამ ქალღმერთიდან რაღაც ახალ ამბავს მოველოდით, და გულის ფანქვალით უცდიდით ამოკითხვისა და ლოცვის დათავებას, რომლის შემდეგ ჩვენ წაგვიკითხავდნენ ბრძანებას.

— რაღაც კარგი ამბავია — ძღვნია — თითქმის ცხვირით მითხრა ჩემმა ამხანაგმა, ჩუმად მე თანხმობის ნიშნათ წარბი შევაქანე, რომ სხვა რამის განძრევა არ შეენიშნათ. გათავდა ამოკითხვა მორჩა ლოცვები და მოემზადა ისიც ხმის ამოსაღებათ. მხოლოდ სანამ ბრძანების კითხვას დაიწყებდა, თავისი ჩვეულებრივი სიტყვებით მოგვმართა: ერთი კარგად შეგვახურა გაგვღიანძღა და მერმე დახედა ქალღმერთს, რომელიც ხელში ეჭირა, ერთი გაიღიმა კმაყოფილებით ჩაახველა და დაიწყო:

„ბრძანება კავკასიის ჯარებისადმი № 1 § ვბრძანებ ყველა ჯარების ნაწილების საყურადღებოდ რომ, ყოველი ჯარის კაცი გაპარული სამსახურიდან იქმნას დასჯილი 25 როზგის დარტყმით. გაქცეულად ითვლება ვინც ნება დაურთველად წავა გუნდიდან და სამი დღის განმავლობაში არ გამოცხადდება ნაწილში.

ხელს აწერს მისი იმპერატორობითი უმაღლესობა ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე“.

დაათავა ჩვენმა „ფელთფებელმა“ ეს სასიხარულო ახალი ამბავი და არხეინად ჩაიციხა.

აწიცი გაიპარებიან ეს თურქები — მსახურითა მან ქართველებსა და სომხებისკენ კარგად მარცხენა ფრთაზე იღვნენ.

— ეს სწორეთ მაგათთვინაა კარგი, აბა მითხარით ჩვენ მოვსულვართ აქ მაგ თურქების დასაცავად და ეგენი კი სამსახურიდგან გარბიან! როზგი კიარა დასახლობია მაგენი, — დაათავა მან და დედაც შემოგვიკურთხა ერთობით სომეხ და ქართველებს.

მერმე გვიბძანა დავშლილიყავით. ჩვენც ყველანი დავიშალენით, აქეთ იქეთ დავიწყეთ ლაპარაკი ჩვენებურათ.

— გაიგეთ თქვენ თუ არა ძალღურად ნუ ლაპარაკობთო რომ გიბრძანათ ფელთფებელმა? გვითხრა ერთმა რუსის ჯარის კაცმა.

— შე ტუტუცო, შენდენი რუსულიც ვიცი და არც არაფერში ჩამოგირჩები, მხოლოდ რა არის რომ შენც ისე ამბობ რასაც ის ძველი ფელთფებელი გვეუბნება უნდა გრცხვენოდეს, ალენიკოვ, მაგისთვის, — უთხარი მე გაჯავრებითაც და ლმობიერებითაც. მას მართლა შერცხვა თავისი სიტყვის და გაწითლდა.

— აი შენ მეუბნები რომ არეულობა მოხდება ხალხი არ მოსვენებსო, — შენნიშნა ერთმა ჩემმა კარგმა ამხანაგმა პოლონელმა, რომელთანაც მე ხშირათ მქონია კამათი არეულობისა და რევოლიუციების შესახებ და არც ის იყო ამაზედ გაუცნობელი. — ხომ ხედავ რას ამბობს უფიცი, მაგას ნეტარებად მიაჩნია ისეთი ბრძანების გაგონება, რომელიც ფელთფებელმა წაგვიკითხა მაგი ფიქრობს რომ როზგი მართო ქართველ სომხებს მოხვდება და ის კი არ იცის რომ მაგათ ძმებსაც შეხვდებათ — დაუმატა მან.

— რა უყოთ, როცა თავისი თვალთ დაინახავს რომ აღარ შეუძლია იმის მეტი მოთმენა, მაშინ თვითონც ამ გზას დაადგება, რომელსაც ჩვენ — უთხარი მე, ჩვენი ლაპარაკი მალე შეწყდა და ძილს მივეციით თავი რომ იქნებ იქ მაინც გვენახა ცოტა ხნის მოსვენება.

11

გავიდა მას შემდეგ ერთი თვე. ერთ დღეს ვზივარ. მზის ყურეში და რაღაც ფიქრებში ვარ წასული.

ჯარის კაცი ჩემთან! — მომესმა მე ხმა უკნიდან და როცა მოვიხედე დავინახე რომ, ჩვენი „ფელთფებელი“ მეძახდა, მე წამსვე მასთან მივვარდი და გამოვეჭიმე, მასთან ერთი ჟანდარმი იჯდა ეს ჟანდარმი ხშირად დაიოდა ხოლმე ჩვენ ფელთფებელთან, რადგანაც ამათ წინათ ერთად ემსახურათ და კარგი ამხანაგებიც ყოფილიყვნენ, იმას ჟანდარმობა ეთხოვნა და მიეცათ ჩვენს „ფელთფებელსაც“ მოენდომებია ჟანდარმობის მიღება მაგრამ რადგანაც წერა კითხვა ნაკლებათ იცოდა არ მიეღოთ. მე რომ მივედი მათი ლაპარაკი იმით სამსახურის დაფასებებაზე იყო.

— სწორედ ვირი ხალხია ეს სომხები, სადგურზე რომ გამოიტანებენ რისმეს გასაგზავნათ ძალათ

რომ არ მოგცენ რამე არ შეიძლება, და აბა სულე-
ლი ვინ იქნება რომ არ აიღოს, სჭამე ეს ერევნის
ყურძენი რამდენი გინდა და იყავი. ყველას შენი
ეშინია და ყველას შენ უფროსობ.—ამბობდა ჟან-
დარმი სერგეი პავლეს-ძე.

—მე გამიწყრა ღმერთი რომ ვერ მოხვდი შენ-
სავით, მარა რაც უნდა დამიჯდეს უნდა ვშინჯო
ერთი ჟანდარმობაც, იცი მერე რა მიყვარს ეს ხე-
ლობა!

—რას მიბრძანებთ ბატონო —უთხარ მე რო-
დესაც შეუტყვე რომ მას სიტყვის გათავება არ
უნდოდა. მან უცებ შესწყვიტა სიტყვა შემომხედა
კარგად ამაველ-დამავლო თვალი, ამოიღო შაურია-
ნი და მითხრა წადი მალე პაპიროსი მიყიდე, მე
გამოვართვი შემოვბრუნდი წესისამებრ და გავექანე
პაპიროსის საყიდლად. ორი წუთის შემდეგ მოვი-
ტანე პაპიროსი და გადავეცი მას. ის ამ დროს
ოცნებით გატაცებული იჯდა თავის ამხანაგთან და
ამიტომ იყო რომ მან დაბალი ხმით მითხრა „მად-
ლობთო“. მეც რაღაცამ შემეშალა ხელი და უთხა-
რი „არაფერის“ მეთქი. მან ეს ვერ შენიშნა ალბად
სულ სხვას ფიქრობდა, მაგრამ მისმა ამხანაგმა ჟანდა-
რმა კი მითხრა „აგრე გასწავლიან რომ მადლობას
ეტყვიან „არაფერიო“ უნდა უთხრაო“. ეს ჩვენმა
ფელდეგებელმა გაიგონა მოეკიდა ცეცხლი და მიბრძა-
ნა „წადი ეხლავ მორიგეს უთხარი 72 გირვანქა
ტვირთით თოფ ქვეშ დაგაყენოსო“ რაღა გზა მქონ-
და ავასრულე ბრძანება. დასჯა ჩემი არაფერი იყო
მხოლოდ უბედურება ის იყო რომ საღამოს ამო-
კითხვის დროს არ ჩაეგდე ცეცხლში:“ მადლობა
ღმერთს გადავრჩი შემდეგით: რაღაც გათახსირებული,
რაღაც დემოკრატი არისო რომ იტყვიან სწორედ მაგი
არის“ ეს გაბრაზებულმა წარმოსოქვა მან საღამოს
განხილვის შემდეგ უკანასკნელი სიტყვა „დემოკ-
რატი“ მე ლანძღვით არ მიმიღია, ავრამ მისი
აზრით ეს სიტყვა რაღაც გლახა რამ იყო კიდევ
ბევრი ილაპარაკა მან ჩემზე და ბოლოს როგორც
იქნა დამანება თავი.

მე რაც ჯარის კაცათ გამიწვიეს 1915 წელს
8 აგვისტოს მას შემდეგ ჩემს უბის წიგნში ყოველ
დღიურ შემთხვევებს ვიწერდი და ამელამდელი
შემთხვევაც შიგ ჩავწერე. მალე მოახლოვდა ვადა-
რიცხვის დრო, რომლის ძალითაც რამდენიმე ჩვენი
გუნდის ჯარის კაცები ბრძოლის ველისაკენ უნდა
წავსულიყავით. მან პირველათ ჩემი გვარი ჩასწერა
გასაგზავნათ სიაში, ამიტომ აღფავეტური სიაც მას
„ლ“ დაურჩა დაწყებული რადგანაც ჩემი გვარი
„ლ“ გან იწყებოდა. მე ბრძოლის ველზე წინად ვი-
ყავი ნამყოფი და არც ძლიერ მწყენია ეს მაგრამ
ჩვენმა გუნდის უფროსმა როცა დაგვიკითხა და გა-
მოვდექი ბრძოლაში ნამყოფიც და დაჭრილიც, მან
უბრძანა მე არ გავეგზავნე იქ და ჩემი სურვილით
ნება დამართო ტყვიამფრქვეველთა გუნდში გადასვ-
ლისა.

(შემდეგი იქნება.)

საწყალი მუშა.



ბრძოლის ეროვნული იდეოლოგია

ეხლა მოვდივარ ბრძოლის ველიდან,
გამარჯვებული ვაშას ძახილით,
მტერს მუსრი ვავლეთ. და დავანახვეთ,
ქართველთ გამირობა ბასრი მახვილით.

* *

პირველში მტერმა მით ისარგებლა,
ჯარი არ გყავდა საზღვრებზე სრულად,
მოაღვა იგი ურიცხვი ჯარიო,
და შემოიჭრა საზღვრებში რთულად;

* *

მაგრამ ისეთი სხვა მტერს ეწიოს,
ვინც განიზრახოს ჩვენი დღეუბა,
რაც მათ დაატყდათ რისხვა, თავს—ზარი,
ჩვენი მამაცი,—გმირი ლაშქართა;

* *

მტერს რა მიუწვდა ჩვენი ლაშქარი,
ატყდა ზარბაზნის ქეჩა —ქუხილი,
ტყვიის ფრქვეველმაც იწო კაკანი,
მტერს მოველინა ვით ცეცხლის-ალი.

* *

და, რა იხილა მტერმა ჩვენს მხარეს
ჯარი ძლიერი თავის წინააღმდეგ,
მაშინ იკადრა უკან გაქცევა,
თავ შესაფარი სადმე ეშოვა.

* *

მაგრამ მრისხანე! ვაშას ძახილით!
კვლავ დაედევნა ჩვენი ლაშქარი!
მტერი მანამდის არ გააჩერა,
სანამდის საზღვრებს არ გააშორა.

* *

მტერმა იხილა რა დამარცხება,
ზავი შეგვიკრა კვლავ მეგობრული,
ეხლა მოვდივართ ბრძოლის ველიდან
ღროშის ფრიალით გამარჯვებული.

მხედარი ნესტ. თევ. კვანტალიანი.

* *

როს ჩვენ სამშობლოს, ჩვენსა ქვეყანას
მტერი ყოველს მხრივ მოგვადგებოდა,
და როს მუხთალი, ცუცხლთა-მახვილით,
ტურფა ველ-მინდვრებს მოედებოდა.

და როს ბილწავდა ჩვენს წმიდათ-წმიდას,
ჩვენს ზურმუხტოვან საქართველოსა,
თვისი ბინძური ხელით გასვრილით
შეეხებოდა ტურფა წალკოტსა.

და როს მას სურდა ჩვენი ქვეყანა
მთლათ აღერეცხა, მოესპო იგი,
მაშინ ქართველისა ყოველ ალაგას
ბრძოლას იწვევდა, ბრძოლისა ჩანგია...

და ამ საყვირზე, დიდი პატარა
თავს იკრეფვიდა სიხარულითა;
რადგან სამშობლოს სტიროდა მაშინ,
გმირთა რაზმები მტკიცე, ერთგულთა...

და სიხარულით მტერს შეხედებოდნენ,
არ ეშინოდათ არვის სიკვდილის;
რადგან იცოდნენ, რომთვის ქვეყანას
მტერს მოეტანა მახვილი სპობის...

ეკვეთებოდნენ და მტერს მუხთალსა
უკუ აქცევდნენ, მისდევდნენ ჟღერდნენ,
და როს საზღვარსა გადასდებოდნენ,
დახოცილთ ძმებსა მით აღიდებდნენ...

და ეხლა, ოდეს ჩვენ მოგვდგომია
მტერი ლაჩარი, მტერი მუხთალი,
წინ, ძველებურად, ხელში გვეჭიროს
მამაპაპურად ნაღესი ხმალი...

ნუ შეგვაშინებს ნურცა სიკვდილი,
ნურც მტრის მოსევა, მტრის კიჟინები;
დე დაუმტკიცოთ, რომ სამშობლოსთვის,
თავსა შევსწირავთ ჩვენ ქართველები!..

იაკობ მაისურაძე.

სალამი ბათოშს

სალამი ჩვენსა ბათოშს, ჩვენს განუყოფელ
მხარეს,

რევოლუციის აკვანს და ევროპისა კარებს;
ორი წლის ტყვეობაში იყავი, ჩვენო გულო,
სიცოცხლისა ჩვეულო, ძალით დაშორებულო.

საქართველოს სიცოცხლევ, ზღვათ მეფისგან
პურობილო,
დღეს ჩვენი მხედრობისაგან ირგვლივ ბორკილ
აყრილო!
სალამი თავისუფალ ძმა-მუსულმან ქართველებს,
და მასთან საქართველოს რესპუბლიკის დამცველებს!

ჯ. კ. მ. ყუმურისპირელი.

წინ! ბრძოლის ველზედ

წინ! ბრძოლის ველზედ, მტერს მტრულად
დავხედოთ,

სულ მთლად შევმუსროთ ის ტლანქი ძალა,
რომელმაც ძმური ფიცი გასტეხა,
ერთგულ მეზობელს თოფი ახალა.
ნუ შეგვაშინებს რიცხვით სიმრავლე
ის ვერ გადასწყვეტს გამარჯვებასა,
ნურც შეგვაშინებს მათი მუქარა,
ის მუდამ იწვევს შენანებას.

ნუ შეგვაშინებს ჩვენ ის შემთხვევაც,
რომ ირგვლივ მტრები შემოგვსევია;
ასეთ ომებში გამარჯვებულად
გამოსვლა ქართველ ჯარსა სჩვევია.
მტერს მტრულად დავხვდეთ, და მოლაღატეს
ჩვენ შევანანოდ მისი მუქარი.

და მამაცურად მუდამ ისმოდეს
ქართველ-მხედრობის ხმაი მქუხარი.
წინ! ბრძოლის ველზედ, მტერს მტრულად
დავხვდეთ

სულ მთლად შევმუსროთ ის ტლანქი ძალა,
რომელმაც ძმური ფიცი გასტეხა
ერთგულ მეზობელს თოფი ახალა.

მე 2 ქვ. რაზმის ჯ. კ. „მ. ხრიალეთელი.“

ზ ე ი ე ი

ბურუსით მოცულ სამშობლოს ცაზე
შავი ღრუბლები გადაეყარნენ
და მოზიემე ჩემს მიწა-წყალზე
ვარდ ყვავილები გადაიშალნენ.

ზეიმობს ერი მრავალ ტანჯული
ხანგრძლივ ძილისგან გაღვიძებული
ზეიმობს მხარე ტურფა მორთული
სიხარულისგან აღტაცებული.

და ამ ზეიმის საგუშაგოზე
დგანან ლომგული ქართველის შვილები,
სამშობლოს ფხიზელ სადარაჯოზე
იცავენ ომში გამოცდილები.

ვაშა, სამშობლოს სახელოვან ჯარს!
ვაშა, მის ღვიძლ ძმას-მამაც გვარდიას!
ვაშა, მეთაურთ გონებით მდიდართ
მშობელი ერის გულის ვარდ-იას.

ჯ. კაცი შალვა ბუბულაშვილი.

ჯარის-კაცთა წერილები,

ახალციხე.

როდესაც ჩვენი რაზმი შესვენებული იყო, ვსარგებლობდი შემთხვევით და ვათვლიერებდი საქართველოს ძველ ნაშთებს, ერთი ამათ შორის არის ქულევის მონასტერი, რომელიც დიდს შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზედ... ის სოფლებზედ მოშორებულია რამოდენიმე ვერსით გაშენებულია პატარა მინდორზედ, არგვლივ მთები აქვს შემორტყმული გარეგანი შეხედულება თვალ-წარმტაცია, შენობა ამაყათ გამოიყურება სამრეკლოთი და ბერ-მონაზონთა ბინებით. ირგვლივ მწვანე მობიბინე მდელი სიამოვნებით შეჰყურებს ობლათ მიგდებულ თლილ ქვების კედლებს, რომლის უმეტესი ნაწილი გამოღებულია უგუნური ხელისაგან და წაღებულია უპატრონოთ მიტოვებული გაპარტახებული ხუროთმოძღვრების ნასახი ოდნავ მოსჩანს კედლებზედ. ყურადღებას იპყრობს სამრეკლო, რომლის შემადგენელი ქვები საუცხოვოდ არის მოვარაყებული სხვა და სხვა ფერით. ბევრმა ჯარის-კაცმა ეს ადგილი კარგ საჭაეროთ სცნეს, და უხუმრეს ერთი-მეორეს: აქ გადმოვსახლდეთ აქ ბუნების სიუხვით იცხოვრებს აღამიანიო“.

აქედან გადავედით ს. ფლატეში, რომლის განაპირას, რუქის მიხედვით, გოგირდის წყლები უნდა ყოფილიყო. როგორც იქნა მივაგენით წყაროს, რომელიც ქვებით არის ამოყვანილი. სხვა და სხვა მიწის შემადგენელ ნაწილებით წყლის გემოთი აშკარათ სჩანს ახლო-მახლო ბევრია რკინის შემადგენელი ნაწილები, და აგრეთვე იოდისა და იოდის მარილის (Iодистый калий) თუმცა გოგირდის არაფერია. ნიშნები არის ეს წყარო დიდი მარგებელია ქარებისათვის და კუჭის ტკივილისათვის. საღამოს გამოვსწიეთ კარვებისკენ.

ამ ხნის განმავლობაში მთელი ჯარი ხულოში შევიდა, გარდა რამოდენიმე ნაწილისა. მაგ. მე-8 ათასეული, რომელიც ურთხის უბანში იდგა ახალციხისკენ დაბრუნდა, დაბრუნდა აგრეთვე არტილერიის ნაწილი, აღსანიშნავია, რომ ყველა ჯარის ნაწილის უფროსიდან დაწყებული უმცროსამდე ბათომში უნდა წავიდეს, დაბრუნებულნი კი დაღერემილი სახით მოდიან უკან. ყანების სამუშაოთ ჩვენი რაზმიდან წავიდა რამოდენიმე ჯარის-კაცი, მათ მიუხარბიან სახლში, დარჩენილები აბარებენ მათ, ნახონ, გაიგონ მათი ოჯახების ამბავიც. ისინიც სიამოვნებით ღებულობენ დავალებას. ჯარის ნაწილები ნელ-ნელა უახლოვდებიან საყვარელ ბათომს.

პ. ლესელი.

მუდმივ და სათანადო ჯარის კაპებს.

ვეცადნეთ და მოვიწადინოთ, რომ წეს რიგიანად და მტკიცედ შევასრულოთ სამხედრო სამსარი. თუ რომელიმე ჩვენთაგანი რაიმე ცუდ კაცობას ჩაიდენს, ან დეზერტირობას დაიწყებს, იმისთანა პირს ნუ კი მოუწონებთ ამ საქციელს და ნუ კი გაუადვილებთ, არამედ ზიზღით შეეხედოთ და უთხრათ, რომ მათი საზიდი უღელი ჩვენ დარჩე-

ნოლ ამხანაგებს გავვიხდება საზიდათ. მათ უნდა იცოდნენ, რომ ჯარიდან ვაპარტოთ სამშობლოსაც ლალატობს და იმავე დროს ჩვენ შმა ამხანაგებსაც. აი ამისთანა პირს ჩვენ თვითონ უნდა მივაქციოთ ყურადღება.

როდესაც რაიმე საფრთხე მოეღოს ჩვენს სამშობლო ქვეყანას, ამისთანა დროს მთელი ჩვენი გული და სული იქით უნდა იყოს მიმართული საიდგანაც მტერი აპირებს საზღვრების გადმოლახვას და მოვალე ვართ, როგორც კარგი მუშა კაცი გულმოდგინეთ და ხალისიანათ გასწევს სამუშეარისაკენ, ისე გავეშუროთ მტრის წინააღმდეგ, ჩვესცეთ მახვილი და სამშობლო გადავარჩინოთ განადგურებისაგან, აი ამაში გამოიხატება სამშობლოს სიყვარული.

თუ ჩაუკვირდებით საქართველოში საქმე წინ არის, ვიდრე რუსეთში. იმ ვეებერთელა რუსეთში, რაც საქართველოში ქონება არის დღეს, იმის ნახევარი არ მოიძებნება—რაათ? იმისათვის რომ იქ, სამოქალაქო ომის დროს გაანადგურეს ქარხნები, ზაფოდები და რკინის გზები. ძარცვა-გლეჯას მიჰყვეს ხელი.

ამ მხრივ დიდად განსხვავდება ჩვენი მთავრობის მუშაობა, თუმცა ჩვენ პატარა საქართველომაც დიდი ომები გამოიარა დიდ სახელმწიფოებთან შედარებით, თითქმის უწინდელი დრო განმეორდა ამ მხრივ. მთავრობას მოაქვს დიდი სახელმწიფოებიდან რაც აქ არ იშოვება ომების გამო, როდესაც ომები შესწყდება, მაშინ გაიმართება ქარხნები და რიგზე მოეწყობა საქართველო.

გაუმარჯოს საქართველოს და მის წინამოძღვარ მთავრობას!

მე-2 საარტ. დივ. მე-2 ბატ. ჯ.-კ. ვ. გორგაძე

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.

პასუხის მგებელი რედაქტ. ნ. კურდღელაშვილი.

უოველ-პვირკაული ჟურნალი „მხედარი“

ჯარის ნაწილებს ურიგდებათ უფასოთ. გასასწიდათ თითო ნომერი ღირს 10 მან.

რედაქცია და კანტორა დროებით მოთავსებულია: რუსთაველის ქ. სამხ. სამინისტროსთან არსებულ კულტურა-განათლების სექციაში.

რედაქტორის პირადათ ნახვა უეიძლება უოველ დღე დილის 8—9 საათამდე.



ეს არის უდიდესი ღალატი სამშობლოს და არც ერთი რიგიანი ადამიანი ამას არა კადრულობს.

ნიკოლოზ მეორეს უნდოდა ერთხელ ამგვარი რამ და იმასაც კი შერცხვა. 1905 წელს, როდესაც რევოლუციამ მისი ტახტი შეარყია, მან გა. ნიზრაბა: გერმანიის ჯარს შემოვიყვან და დავაწყნარებ რუსეთსო, მაგრამ ეს ისეთი საშინელი ნაბიჯი იყო, რომ თვითმპყრობელიც კი შედრკა და ვერ მიმართა ასეთ საშუალებას.

ჩვენი კომუნისტები კი მზათ არიან, რუსის ჯარების შემწეობით აიღონ ჩვენი სამშობლო.

—ჩვენ ეს მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ გვინდაო—ამბობენ ისინი.

მაგრამ ყოველი მტარვალი და ქვეყნის მოლა. ლატე ესე მართლულობდა ყოველთვის თავს.

ძველათ, როდესაც ერთი თავადიშვილი მეორეს გადაემტერებოდა, ჩვენში თუ ვერას დააკლებდა, გარბოდა სპარსეთში ან ოსმალეთში, მოჰყავდა იქიდან ჯარი და აოხრებდა, აწიოკებდა საქართველოს ამა თუ იმ კუთხეს.

რომ ვისმეს ეკითხა, მაშინათვე, უპასუხებდა: სამშობლოს საკეთილდღეოთ ვშერბები ამასო.

რა უნდა რუსეთის მთავრობას?

ძველი რუსეთის აღდგენა.

ძველი რუსეთის აღდგენა ნიშნავს პატარა ერების თავისუფლების მოსპობას.

და აი ჩვენი კომუნისტები მზათ არიან მოსპონ ჩვენი სამშობლოს თავისუფლება, ოღონდ კი ძველი რუსეთი აღდგეს.

მართალია, დღეს რუსეთში მეფე აღარ არის და კომუნისტების მთავრობაა, მაგრამ მგელი შეგვკამს თუ მგლის ფერი ძალლი, სულ ერთი არ არის?

გინდა ნიკოლოზს გაუნადგურებივართ, გინდა კომუნისტების მთავრობას, რა განსხვავებაა?

—რუსეთის ჯარი რომ აქ შამოვიდეს, ხალხს ბედნიერებას მოუტანსო, ამბობენ ჩვენებური კომუნისტები.

ვინც კი რუსეთიდან ჩამოდის, ყველა ერთხმათ ამბობს, რომ იქ მშრომელი ხალხის მდგომარეობა ვაცილებით უარესია, ვიდრე ჩვენში.

მართალია, ჩვენში დიდი სიძვირეა და გაჭირვება, მაგრამ ვაცილებით უარესია რუსეთში.

დავანებოთ თუნდა ამას თავი.

ჩვენს მეზობლათ არის ადერბეიჯანი და აბა ერთი ვადახედეთ, რა ბედნიერება მოუტანა კომუნისტების ჯარმა ადერბეიჯანს?

რაც რამე იყო, გაზიდეს ბაქოდინ და დღეს იქ აუტანელი სიძვირეა.

გირვანქა შავი პური ოც თუმანს ასცილდა, ყოველგვარი საქონელი გაქრა და ის მუშები, რომლებიც მოუთმენლათ მოკლოდენ რუსეთიდან კომუნისტებს, დღეს ყურჩამოყრილი არიან და აღარ

იციან, საით გაიქცენ, როგორ დასამხრან და მოკლან თავი.

ჩვენებური კომუნისტებს ერთი მძლავრი იარაღი აქვთ, - ფული.

ვინ მისცათ ფული?

რუსეთში უღმერთოთ სკრიან ქალაქის ფულს და აქაურ კომუნისტებსაც მილიონობით უგზავნიან: ქრთამით იქნება აილოთ საქართველოვო.

და აი ჩვენი კომუნისტებიც ქრთამებითა და მოსყიდული პირების შემწეობით ცდილობენ მშრომელი ხალხის „გაბედნიერებას.“

სირცხვილი ამისთანა ადამიანებს.

ზიზლი ქვეყნის მოღალატეებს!

ჩვენებური კომუნისტები ჩვენი ჯარის გატეხას ცდილობენ ქრთამებით, თითო-ოროლა შეუგნებელი ჯარის კაცი გააბრიყვეს კიდევ, მაგრამ საერთოთ ჩვენი ჯარი მტკიცეა, როგორც კაჟი და სამშობლოს ერთგული.

ჩვენმა ჯარის კაცმა იცის, რომ ის მშრომელი ხალხის საქმეს იცავს, მშრომელი ხალხის სამშობლოს სდარაჯობს და ფულზე ის არ გასცვლის თავის ნამუსსა და სახელს.

ჩვენმა ჯარის კაცმა იცის, რომ საქართველოს მშრომელმა ხალხმა მას ჩააბარა თავისი ბედნილობა.

ჩვენი ჯარის კაცი მოჰკვდება და თავის სამშობლოს, თავისი მშრომელი ხალხის მოღალატე კი არ გახდება.

ივ. გომართელი.

როგორ უნდა გავიგოთ დისციპლინა?

დისციპლინა არის უყოყმანოდ შესრულება იმისი, რასაც გვავალდებს სისხლით მოპოებული ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესი, ჩვენი სამშობლოსი და ჩვენი ხალხის სიყვარული.

ჩვენი ნორჩი ჯარი და გვარდია არის სინიღისი ჩვენი დემოკრატიისა და მისი ინტერესების გამომხატველი.

ჩვენი დისციპლინით უნდა ცხადვყოთ ჩვენი შეგნება და განვითარება. დისციპლინა მოითხოვს წმიდად და მტკიცედ შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, სისწორით, გარკვევით, სისწრაფით და მიზანშეწონილად შევასრულოთ ის, რასაც ჩვენი უფროსები გვიბრძანებენ. ყოველს უბრალო მოქმედებას, ყოველს თუნდაც მცირე არა სწორ მიხვრა-მოხვრას დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო რაზმულობაში. ყველამ უნდა ვეცადოთ არ დავარღვიოთ ის, რასაც დისციპლინა ჰქმნის ჩვენში: დაუშრეტელი სიდიადე და სიამაყე

1103

ყოველი ბრძანება, უფროსისაგან გაცემული, უნდა იყვეს შეთვისებული ყველა ჩვენგანის მიერ და განივრულად შესრულებული, ვინაიდან ის, რასაც ვასრულებთ, მიმართულია ჩვენდა საკეთილდღეოდ.

ყველამ გარკვევით ვიცით, რასაც ვემსახურებით. ჩვენ ვემსახურებით ჩვენი მშრომელი ხალხის ინტერესებს, ვემსახურებით ჩვენს ტურფა სამშობლოს — საქართველოს, სადაც ბატონ-პატრონი მხოლოდ და მხოლოდ იგივე მშრომელი ხალხია. ხომ იცით რამდენი შრომა, რამდენი ბრძოლა გამოიარა ჩვენმა მთავრობამ, როდესაც გადაარჩინა რუსეთის შავისა და წითელი ფერის იმპერიალიზმის კლანჭებისაგან ჩვენი ხალხი, ჩვენი სამშობლო.

ვისაც შეუუნებლობით ან ბოროტ განზრახვით თვალი დახუჭული არა აქვს, აშკარად ხედავს, თუ რა ბედნიერება სუფევს სხვა სახელმწიფოებთან შედარებით ჩვენს სამშობლოში. ეს არის მობრუნებული ჩვენი მხედრობის სისხლით, ეს არის ჩვენი დემოკრატიის დაუცხრომელი შრომის ნაყოფი. ჩვენ ყველამ უნდა შევიტანოთ ჩვენი წვლილი სამშობლოს გასაბედნიერებლად, ჩვენი სახელმწიფოს განსამტკიცებლად და გასამაგრებლად.

სამშობლომ გვაჩუქა სიცოცხლე, სამშობლომ გვაწოვა ძეძუ, ადამიანებად გამოგვიყვანა და ბოროტმომქმედი და დამნაშავე იქნება ის ვინც გვერდს აუხვევს სამშობლოს სამსახურს.

საქართველომ ჩააბარა ჩვენს ჯარს ჩვენი წმიდა ეროვნული დროშა და წინამძღოლად მისცა ბრძოლაში გამობრძმედილი თეთრი გიორგი. აი რა წმიდა სახელოვანი და პატივმოსავი მოვალეობა აწევს კისრად ჩვენს ჯარის კაცს ხალხისა და სამშობლოს წინაშე!

მაშ, მოწიწებით და მტკიცედ შევესრულოთ ჩვენი მოვალეობა და დადებული ფიცი არ გავტეხოთ. ჩვენთან არის ჩვენი მშრომელი ხალხი, ჩვენთან არის მთელი საქართველო და ამიტომ ჩვენი სამშობლოს ბედნიერება უნდა დავიცუოთ ჩვენი დისციპლინით. დისციპლინა დაუქრობელი ლამპარია ჩვენი ბედნიერებისა.

ჩვენ ყველამ მჭიდროდ უნდა ჩავკიდოთ ხელი-ხელს, ჩავებათ საერთო ფერხულში, ერთს ხელში ავილოთ ხმალი, მეორეში ჩვენი წმიდა დროშა. მაშინ წინ გავვიძღვება ჩვენი თეთრი გიორგი და მტერი ვერაფერს დაკვაკლებს.

ჩვენი მახვილით ბევრჯელ გადაგვიტეხია მტრისათვის ჩვენი გულის გასაგმირად მოღერებული ლახვარი და უკუ გვიგდია იგი; კვლავაც ასევე გაუმასპინძლდებით, თუ ვინმე განიზრახავს ჩვენის სამშობლოს გაუბედურებას.

მაკარი რუსიშვილი.



ეროვნული გიგლიოთქა

კაპ. შალვა ხობახვილი, ტყვიის მფრქვეველთა რაზმის უფროსი, მოკლული იქმნა ხულაში (აქარაში) 1 ივლ. 1920 წ. თათრების ბანდების მიერ. შალვა იყო უნიჭიერესი და უსაყვარელის ხელმძღვანელი, რომლის ასე ვერაგულით დაღუპამ დიდი მწუხარება გამოიწვია ჯარისკაცებში ის იყო სულ 20. წ. დარჩა ახალ გაზდა ცალი და ყოველ სახსარს მოკლებული დედა.

სამშობლოს მსხვერპლს

(უძღვნი შალვა ხობახვილის ხსოვნას)

გული ქვითინებს, სული შფოთავს, სიტყვა მიწყდება, როს წარმოვიდგენ შენსა სახეს, მთვარებრ გაბადრულს! ესე საწუთრო, უსამართლო მძულს. მეზიზღება, გულს რათ უგმირავს შენებრ ნორჩსა, ყოფნას მონატრულს!..

რა უთხრა დედას გულ გაბასრულს, ცრემლად დანთხეულს, ან შენსა სულის ღეთაებასა, შენგან დათმობილს, ან შენს დიდ სატრფო — სამშობლოსა მტრებ შემოხვეულს, ვისით იხილავს, თვისთა მტერთა პირქვე დამხობილს!..

ან შენთან ერთად თანამებრძოლთ, შენებრ რჩეულებს, ვილა დასტყვილებს: აბა, ძმებო, წინ შეუპოვრათ! რისხვათ დავეცეთ სამშობლოს მტრებს, ბილწებს, წყეულებს შეება — სიამე გადუქციოთ, ვაებათ, ოხვრათ!

ვინ, ვინა მეთქი? მაგრამ არა, აქა რჩებთან, ვისაც ასწავლე უანგაროთ სამშობლოს ტრფობა, გწამდეს, გჯეროდეს რომ ისინი არ უკრთებიან სიკვდილს, განსაცდელს თუ მოითხოვს მოვალეობა!

შენ კი მშვიდობით! სულით საღის ჩამონათალო, მშვიდობით, ნეტარ მზის სხივებით დამშვენებულო, მშვიდობით, დედის გრძნობასავით წრფელო, მართალო! სამშობლოს გულში წმინდა ხატათ დასვენებულო!

ი. გარსევანაშვილი-

სურათი ფრონტის ცხოვრებაში.

ახლად შობილი მთვარე თავის თანამგზავრ ვარსკლავით მიეჩქარებოდა სარეცელში, დასავლეთში ჩასაწოლად და საღამოს მოწყენილი ნიავე მოწყენილად ეთამაშებოდა ვერხვის მართლარე ფოთლებს. ბრძოლა გათავებული იყო და მეორე საღამო იწყებდა, რაც დროებითი ხავი შეიკრა მტერთან.

სიმღერა-თამაშით მოღლილ ბანაკს ჩასთვლიმა და მიღებული მთვარეც ცალი რქით ჩაეყუდა მთებში.

სამნი ვიყავით წამოწოლილი გზის პირად და სამნივე ჩუმადა ვსტკებოდით საღამოს სურათით. ცა ისე ღრმა იყო, რომ ყოველი დაკვირვების შემდეგ ახალ ვარსკლავს იქით კიდევ ახალ ვარსკლავს აღმოაჩენდით. დიდხანს იყო სიჩუმე და დიდხანსა ვსდუმდით ბუნების შეილნი ბუნებასავით.

შევჩვიეთ, ელვის ქვეშ ყოფნას. ჩემს გვერდით იყო მწყემსი, სოფლის გლეხი, რომელთაც თავიანთი სიცოცხლე სულ ცის ქვეშ გაატარეს და იქვე იყო ქალაქელ ვაჭრის შვილიც, რომელსაც თავის დღეში გარეთ არ გაეთენებინა; მაგრამ დრომა და ჟამმა მოახდინა სასწაული და ამ შემთხვევაში გავთანასწორდით ყველანი: წვიმაში, ქექა-ქუხილში, ტალახში, თუ დარში ერთად ვიყავით ცის ქვეშ და ერთად ვიტანდით ყოველგვარ გასაჭირს.

— ჩუ! გესმით ბიათი?

დავარღვიეთ სიჩუმე ამ სიტყვებით, როცა გზიდან მოგვესმა ბიათი. ველად მწყემსი თათარი მოსდევდა ძროხებს და გულ ამოსკვნით მღეროდა ბიათს. ისეთი კვნესით ამბობდა იგი სიმღერას, ისეთი მწუხარე და გლოვის კილოთი, რომ მის ცრემლებს ნათლად წარმოვიდგენდით.

— მობილო!

დაუძახა ერთმა ჩვენთაგანმა.

— აბა ერთი ძროხა მინდორზე გაშალე და ცოტა ხანს აქ მოდი.

იგი მოვიდა ჩვენთან და, როგორც ჯარისკაცებს, საღამო ხელის აღებით მოგვცა. უთხარით დამჯდარიყო ჩვენთან და დაჯდა.

— რათ არის თქვენი სიმღერა ეგრე მკვნესარე, მწუხარებით მოცული?

— ძალიან ფინთი საქმე გააკეთა, შენი ჭირიმე, თათარი, ძალიან ფინთი საქმე! თათარი ქართველთან ომი გააკეთა-ოოო, ძალიან ფინთი საქმეა! — ამბობდა იგი.

— შენ რა იცი, რომ ცუდი საქმეა? იქნება ახალი ბატონი კარგი გამოგადგეთ და ბედნიერებას მოსწიოს იგინი?

ვისი, შენი ჭირიმე, ვისი, როგორ კარგი ვარ რუსი! იმან გითხრა ბოლშევიკი ვარ, იმან გითხრა, კაი ვაი ვარ, იმან გითხრა ოქრო ვარ,

ღმერთი ვარ, მაგრამ მაინს რუსი ვარ, შენი ჭირიმე, — ხალიან ფინთი საქმე გააკეთა თათარი ზღონი! — იქნება კარგი გამოდგეს, შენც მოხარული იქნები! — როგორ არ ვისი, შენი ჭირიმე: ჩვენი ერთი კასია, იმან გაზეთის ზიკითხა... ვისი შენი ჭირიმე, ვისი! მე ვისი როგორ თათრები სულ დედა — მიზასთან გაასწორა ზარბაზანით, ჩვენი დედაკასები როგორ გააფუჭა, ჩვენი პატარა შვილები... ვისი!

დაათავა მან და დაღონდა. შემდეგ მძიმე-მძიმედ წამოდგა, გამოგვემშვიდობა; მოუარა საქონელს, გამორეკა გზაზე და ისევ გულ-ჩათხრობით, კვნესით განაგრძო თავისი ბიათი.

მთვარე სულ ჩასულიყო. მთები ღრმად შეხვეულიყვნენ ღამეში და წასვლის დროც იყო კარავში.


სამნივე ჩუმიდ წავედით, ხოლო კვლავ მოისმოდა თათრის მწუხარე ბიათი.

ი. მკედლიშვილი.

ის გაიმარჯვებს ვინც ძლიერია შეკნებით.

1.

ამ სათაურით მე მინდა დავიწყო საუბარი იმ ჯარისკაცებთან, რომელთაც ჯერ კიდევ სავესებით ვერ შეუღწიათ ცოდნის მნიშვნელობა, მით უმეტეს დღეს, როდესაც თუ არა შეგნება ფართო მასისა, სულ ადვილად შეიძლება დავკარგოთ რევოლიუციის მონაპოვარი. ამხანაგო, ჯარისკაცებო, გადახედეთ მსოფლიოს მსვლელობას და თქვენ ადვილად შეამჩნევთ, რომ ხალხის უსამინელოსი მტერი უპირველესად ყოვლისა ყოფილა მათი შეუგნებლობა და გონებრივი სიბნელე. პოლიტიკური ეკონომიური, ეროვნული და ყოველგვარი მონობის წყარო და საფუძველი ხალხის გაუფიქრებლობა ყოფილა. რითაც აიხსნება მონარქიული წესის მესვეურთა წინ გადაღობა, ყოველ გვარი საშუალებით ფართო მასაში სინათლის შესატანად. მათ გამოკვლეული ჰქონდათ და აქვთ სადაც უკანასკნელი არსებობენ, წარსულის კარნახით, რომ შეგნებული ხალხი ვერ ურიგდება: მონობას, დამკირებას გაყვლეფას და იგი დღეს თუ ხვალ ააფრიალებს თავისუფლების დროშას მათდა სავალალოდ. ცოდნა — ძალაა, ძალა ძლიერებაა — სთქვეს ნასწავლთ. დიახ თანახმად მათი გამოკვლევისა ცოდნა არამც თუ მარტო ძალაა, იგი ძლიერებაც არის. ხალხს მეცნიერების საშუალებით შეუძლიან მიახწიოს ამ ქვეყნად კეთილ ცხოვრებას. ავილო მაგალითად



ყოფილი გერმანიის ინპერია, სადაც წერაკით ხვის უცოდინარო ვერ შეხვდებით, რა დღე აყარა ყველას ვის წინაღმდეგაც თვისი ცოდნა, ტენიკა ამუშავა. გადახედეთ მათ რევოლიუციას, როგორ უფლებლოა ჩატარდა, სულ მოკლე დროში. რუსეთში კი სამაგიეროდ რას ვხედავთ? აქ დღესაც გამოურკვეველია, რომელი მხარე გაიმარჯვებს, მიუხედავად იმისა, რომ აგერ უკვე სამი წელია რაც რუსეთი კენესის სამოქალაქო ომში ჩათრეული. მიზეზი, რა თქმა უნდა, მცხოვრებთა შეუგნებლობაა. ცხოვრება და თვით ბუნებაც ვითარდება ადამიანის განვითარებასთან ერთად, პირიქით, ყველაფერი ეცემა, ემხოზა და ისპობა ადამიანის გავლურებასთან ერთად. ის ერი რომელიც სწავლა-განვითარებას, თვის ცხოვრებაში, პირველობას არ დაუთმობს, უეჭველად დაიღუპება და აღიგვება დედა-მიწის ზურგიდან გავიხსენოთ თუნდა ჩვენი-მამა პაპის მტერი და მოყვარენი. სად გაჰქრენ! როდესაც ჩვენ ისევ ვცოცხლობთ და აღმშენებლობასაც ვაწარმოებთ, ჩვენ კულტურას ყოველთვის პატივს ვცემდით და კვლავაც იმედია აღარ ჩამოვრჩებით, რადგან როგორც ვხედავთ, ყოფილმა და უკვე ცხოვრების უღელში შემბულმა თაობამ მოგვცა პიროვნების თავისუფლება, აწმყომ და მომავალმა უნდა განვახორციელოთ თავისუფლების სამეფო. ამიტომ მოქალაქე ჯარისკაცებო ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა მადიანად დავეწაფოთ: მეცნიერებას, კულტურას და ცოდნის შეძენას. ძალა შეგნებაშია და შეგნება ძალაა. ეს ადრევე შეიგნო ჩვენმა სახელოვანმა ჯარმა და გვარდიამ, რითაც აიხსნება რომ ქართველი ერი ასე ადვილად გადურჩა განადგურებას, დროებითი გაჭირებას და გარშემორტყმულ მტერს. სამშობლოს და თავისუფლების დამცველნო, ცოდნის ტაძრის კარები ღია აწმყოდან ცოდნის მოწყურებულთათვის, ყაზარმებში უკვე მოეწყო გონების განვითარების საქმე და აბა ჩვენ ვიცით როგორ მოვიხმართ თავისუფალ დროს ცოდნის შესაძენად. ჯარისკაცებო გვახსოვდეს ჭეშმარიტება, რომ სწავლა სინათლეა, ურომლისოდაც კაცი ვერ შესძლებს, იბრძოლოს თვისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მაშ ამხანაგებო რაკი ეს ასეა, გავსწიოთ ჯარისკაცთა ბიბლიოთეკა-სამკითხველო-საკენ.

ჯარ.-კაცი ვანო ხირსელი.

კულტურული მოძრაობის მახსოვრე ათასეული.


როგორც მოსალოდნელი იყო დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია ჯარების ნაწილებში განმანათლებელ მუშაობის ხელის შეწყობას და უნდა ითქვას, რომ დღევანდელი სამსახური ჯარის-კაცისა დიდთ განსხვავდება შარშანდელ და შარშანწინდელ სამსახურისაგან მახსოვს ჩვენი ათასეულის ცხოვრებიდან 1919 და 1918 წლები, როდესაც ჯარის-კაცები იმიტომ ეწერებოდნენ ნაწილში, რომ რაც შეიძლება ბლომათ და საჩქაროთ მიეღოთ ტანთსაცმელი, რათა შემდეგ მეორე ნაწილში ჩაწერილიყვნენ, სადაც ასევე მოიქცეოდნენ, შემდეგ მესამეშიდ და ასეთ ცულლუტობით გაეწიათ სამსახური სამშობლოსათვის. მახსოვს 1918 წ. 1 აპრილი, როდესაც გამოგვიცხადეს ხვალ ბათუმში მივალთ და მოემზადეთო — მეორე დღეს ათასეულის ნახევარი შემადგენლობაც არ გამოცხადებულა დანიშნულ დროზე, მაშინ უმეტესი ნაწილი ჯ.-კაცებისა თავიანთ ბინებზე ცხოვრობდნენ და ათასეულში მხოლოდ სადილის დროს თუ მოვიდოდნენ. გავემზავრეთ 15-მდე ჯარის-კაცი და რამოდენიმე ოფიცერი.

თითქმის ყოველ სადგურზე გამოქცეული ჯარის-კაცები გვხვდებოდნენ სხვა და სხვა ნივთებით დაჯორგვილი, თოფებს კი არსად ტოვებდნენ რათა, ოჯახშიაც გამოადგებოდათ. სოფ. ლიხაურის (ოზურგეთის ახლო) რაიონში ოსმალების შემოტევის დროს ჯერ მტერი არ დაენახათ როდესაც №. რაზმის ჯარის-კაცებმა დაშალეს ტყეის მფრქვეველი, გაიდვეს მხარზე ცალ-ცალკე ნაწილები და გაუდგნენ გზას შინისაკენ.

ყოველივე ეს ხდებოდა იმ ჯარის-კაცების მონაწილეობით, რომლებიც ბევრი მათგანი დღესაც სამსახურშია, მაგრამ ასეთ საქციელის ჩადენას გულშიაც არ გაიფიქრებენ დღეს. მაშინ არავითარ ჟურნალ-გაზეთებს სამხედრო ნაწილები მთავრობიდან არ ღებულობდნენ, არავითარი განმანათლებელი მუშაობა ნაწილებში არ წარმოებდა, ჯარის-კაცს არ ესმოდა დანიშნულება თავისი თავისა და სამსახურისა, არ იცოდა თავისი სამშობლო, მისი წასრული და მომავალი და რა გასაკვირველია ძნელი იყო ლაპარაკი ასეთი ჯარის გამარჯვებისა.

დღეს სულ სხვას ვხედავთ, როგორც ყველა დანარჩენ ნაწილებს, ჩვენ ათასეულსაც დაუდგა ბედნიერი დღე. ამ წლის 1 ივნისს ათასეულს ეწვია კულტურულ-განმანათლებელ სექციის მიერ დანიშნული მასწავლებელი სავლე აბულაძე, რომელიც შეუდგა თავის წმინდა მოვალეობის ასრულებას და დღემდის ბრწყინვალედ მიჰყავს საქმე.

მოსელისთანავე შეუდგა სამკითხველოს მოწესრიგებას, რომელიც დიდი ხანია არსებობდა მაგ-



რამ კვირაში ორ დღეს თუ ღია იყო 5 დღეს და-
კეტილი. დღეს მართალია სამკითხველოში ბევრი
წიგნები არ მოგვებოვება, მაგრამ ჟურნალ-გაზეთებს
კი სისტემატიურად ვღებულობთ რამოდენიმე ცალს
სამხ. სამინ. კულტ.-განმანათლ. სექციიდან. ნაწი-
ლი ჟურნალ-გაზეთებისა მიღებისთანავე ეგზავნებათ
პოზიციებზე მყოფ ათასეულის გუნდებს, აქვე ათა-
სეულებს აქვს საკუთარი თეატრი, რომელიც თუმ-
ცა სათანადოთ ვერ არის მოწყობილი მაგრამ იმე-
დი გვაქვს, ჩვენი მასწავლებელი ამას უმთავრეს ყუ-
რადღებას მიაქცევს. თუმცა ამხანად ათასეულში
ბევრი ჯ.-კაცები არ არის რადგან უმეტესი ნაწი-
ლი ფრონტებზე იმყოფება, მაგრამ აქ დარჩენილ
ჯარის-კაცებისთვისაც ყოველ დღე 11-დან 12 სა-
ათამდე გარდა კვირა-უქმე დღეებისა იკითხება ლექ-
ციები ზემოთ აღნიშნულ მასწავლებლის მიერ.
ლექციების საგნები შემდეგია: ორშაბათობით და
ხუთშაბათობით — საქართველოს მიმდინარე მდგო-
მარეობა, სამშაბათობით და შაბათობით — ქართუ-
ლი ლიტერატურა, ოთხშაბათობით გეოგრაფია და
პარასკეობით საქართველოს ისტორია. ჯარის კა-
ცები მუდამ მხიარული და კმაყოფილი იშლებიან
და ყოველთვის ტაშის ცემით აცილებენ მასწავლე-
ბელს. სრულიად უვიციანი კი საგონებელში ჩავარ-
დენ და ცდილობენ სამსახურიდან თავისუფალი
დრო გონების განვითარებას მოახმარონ. დღეს
თამამათ უნდა ითქვას რომ ახლანდელი ჯ.-კ. სრუ-
ლიად არ წაგავს 1918 წლის ჯ.-კაცს, მან ცოტათ
თუ ბევრად შეიგნო რომ სამშობლოსათვის საჭი-
როა ერთგული და თავგანწირული სამსახური,
მოყვრის მოყვრად მიღება და მტერს ქართველუ-
რად მახვილის გულში ჩაცემა. დეზერტირობასაც
ათასეულში აღარა აქვს ალაგი ძველებურად და
უნდა ითქვას, რომ ცხოვრება უკვე კალაპოტში
დგება.

იმედი გვაქვს თუ მასწავლებლის დამხმარედ,
როგორც გადაწყვეტილია, დაინიშნა ოფიცერი,
რომელიც მოსიყვარულე იქნება კულტურული მუ-
შაობისა, ჯარის-კაცების ფრონტიდან დაბრუნების
შემდეგ უკვე დაწყებული მუშაობა უმფრო გაჩაღ-
დება და ფართო ხასიათს მიიღებს, რის შემდეგაც
ყველა ახალგაზრდას ესიაშობება ასეთ დაწესებუ-
ლებაში სამსახური, რადგან ეცოდინება რომ, იქი-
დან სრულიად უსწავლეობიც კი შეგნებულ ადა-
მიანებათ გამოვლენ.

ჯარის-კაცი კაკი ფ.

**დაუვიწყარ ამხანაგ იუნკერს ლაღო
კაზი აქილის ხსოვნას.**

მშვენიერი მომხილავი დილა იყო, დილის ცი-
ვი ნიავი ქროდა. მზე ის იყო აპირებდა ამოსვლას.
დილის სამაგრი ნიავით უხვად სტკებოდა —
ყვავილ-მცენარენა, რომლებშიდაც ნახად გაფურ-

ჩქნულიყო ვარდის კუკური. ბუღბუღოთა სტანა
და ფრინველთა ჭიკჭიკი ტბილოდ უფილობდა
ვარდის კუკურს, მცენარე და ყვავილი მასვე საი-
ღუმლოდ უგალობდნენ. მზემაც ამოჰყო თავი და
გადაავლო თავისი პირველი სხივები გაფურჩქნულ
ვარდს. დილის ნიავმაც უკლო, თითქმის შერცხვა
მზის ამოსვლისა და ერთი უკანასკნელათ შე-
არხია ვარდი. დაძინებული ბუნება გაცოცხლდა
და ახმაურდა, ყველა ვარდის ყუკურს შეჰხაროდა
და შენატროდა.

ბოროტების ღმერთმა თვალი მოჰკრა ყვავილ-
თა ღმერთის, ვარდის ზეიმობას. შეშურდა იგი და
მოინდომა მისი სიკვდილი. მოწმენდილი ცა ერთბა-
შად ჯანყმა მოიცა. ატყდა საშინელი ელვა-ქუხი-
ლი და მოვარდა საშინელი გრიგალი ქარი, შედრ-
კენ და შეშფოთდენ მცენარენი და იწყეს ცახცა-
ხი. შესწყდა ფრინველთა ჭიკჭიკი და მიყუჩდნენ
და მიიმაღენ ფრინველები. მცენარეებმაც თავი და-
ხარეს, რომ აეცილებინათ ბუნების რისხვა, დარჩა
ვარდი ობლად თავის ამარა. ბუნება განაგრძობდა
რისხვას და ძლიერი ქარი მწარედ ეხეთქებოდა
ვარდის ღეროს, რომა მოეგლიჯა ვარდი ძირიანად.
დიდხანს გაუძლო ვარდმა ქარის ტალღებს და ბო-
ლოს განრისხებულმა ქარმა ძირიანად მოგლიჯა
ვარდი. ბოროტების ღმერთმა გაიმარჯვა და თავის
გამარჯვება უკანასკნელი ჭეჭით ამცნო სამყაროს.
ბუნება დაწყნარდა და წელში მოხრილი ყვავილე-
ბი ზეზე გასწორდენ. შიშით მიმალული ფრინვე-
ლები საფრებიდან გამოვიდნენ. დაინახეს დამქნარი
ვარდი. ფრინველთ ჩვილი გული მწუხარებამ მოი-
ცა და იწყეს ტირილი. ამ გულწრფელმა ტირილ-
მა სიკეთის ღმერთამდი მიახწია და ნიშნად მწუხა-
რებისა ცრემლი გადმოჰყარა. ნელმა ჟუჟუნა წვიმამ
მორწყო არე-მარე და გაბანა მცენარეთა და ფრინ-
ველთა ცრემლები.

იუნკერი პ. იაკობაშვილი.

ნ ე კ რ ო ლ ო გ ი.

ახალციხის სახ. გვ. ბათალიონის უფროსი ამხ.
ვასილი პავლეს-ძე მაქსიმოვი.

31 მაისს ა. წ. ხულოში ბანდებთან შეტაკე-
ბის დროს დაეცა ამხ. ვასილი....

აღარა გვყავს დიდი საქმის მოყვარული ამხ.
ვასილი, რომლის მუშაობა დაუფასებელია ჩვენი
ორგანიზაციისათვის.

ამხ. ვასილი, ტომით რუსი იყო, ხელობით
ძველი მუშა — რკ. გზის სახელოსნოსი — ზეინკალი,
ხოლო ომიანობის დროს ოფიცრის ხარისხით და-
ჯილდოვებული ჩამოვიდა რევოლიუციის პირველ
დღეებში — შინ და ჩამოსვლისთანავე ჩაება მუშათა
კლასის დიდებულ საქმეში. — ძველი მუშა, მუშადვე
დარჩა და ოფიცრობამ მისი მსოფლ-მებდველო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თასმით მოწყობა თოფზე.

ბის შეცვლა ვერ შესძლო სიცოცხლით სავსე 28—30 წლისა, საშინლად მუყაითი, პათიოსანი მუშაკი, მეტად სინდისიერი, დიდი ჭკუის მქონე და ენერგიული ამხანაგი იყო.

ოქტომბრის გადატრიალებამ მასზედ ცუდათ იმოქმედა, მას გულს უკლავდა და იტანჯებოდა, მან კარგად იცოდა ასეთი ნახტომების საზარალო შედეგები..... მაგრამ დიდი აქტიუობა, თავდაუწყებითი ვაჟაკობა გამოიჩინა ჩვენი საქმის დაცვაში.


შეიარაღებულ დემოკრატიის რიგში პირველი ხელმძღვანელობის როლი იკისრა და დიდის სიყ-

ვარულით მოჰკიდა ხელი ამ დიდებულ ძალის ძოვლა-პატრონობის საქმეს.....

ბორჯომის სახ. გვარდიელებს ყველას კარგად ახსოვს ამხ. ვასილის თავდადებული მუშაობა მათ წრეში, რასაც ის მეთაურობდა რამოდენიმე წელი.....


მას ყველა სახ. გვ. მამობრივის გრძნობით უყვარდა, თავს ევლებოდა — გვარდიელებიც ამაკარგად ხედავდნენ და სამაგიეროთი უპასუხებს დნენ.

საქმის დროს, მოვალეობის ასრულებაში ყველა გმირი იყო თავის პოსტების, ხოლო მშვიდო-




სროლისათვის.


ეროვნული
ბიბლიოთეკა



ციხე, სადაც დამწყვდეული იყო ფილოსოფოსი სოკრატი.



ფილოსოფოსი სოკრატი სამსაჯულოს წინაშე.
(ათინის ძველი მხატვრობა).



არეოპაგი.